თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 10 ოქტომბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 14

ქ. თერჯოლა 10 ოქტომბერი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5.ლაშა გურგენიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახაათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10.ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. გოჩა ვერულაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. ტარიელ ფანჩულიძე, 18.ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.იზა მაგრაქველიძე, 2. ელისო მურადაშვილი, 3. კახა ბუცხრიკიძე, 4. რამინი რობაქიძე, 5. თამარი ახვლედიანი, 6. ფრიდონი გვენეტაძე, 7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. კობა კირკიტაძე, 10. მერაბი ბასილაძე, 11. რუსუდან კოვზირიძე, 12.როლანდი მესხი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი
კვორუმი: 12 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282528118 წერილი, 08.10.2025 წ.);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282528028 წერილი, 07.10.2025 წ.);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების" დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282522816 წერილი, 08.10.2025 წ.);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-28252826 წერილი, 09.10.2025 წ.);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-28252826 წერილი, 09.10.2025 წ.);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-28252826 წერილი, 09.10.2025 წ.).

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 280.0 ათასი ლარით და შეადგენს 36340.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 280.0 ათასი ლარით სხვა შემოსავლები (ჯარიმები, სანქციები და საურავები).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 280.0 ათასი ლარით. მ/შორის:
მერიის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.
გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა 4.7 ათასი ლარით.
კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 47.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება გაიზარდა 25.2 ათასი ლარით.
საროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.
დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.
სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით.
სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.
რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.
საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება გაიზარდა 3.1 ათასი ლარით.
სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №19, 10.10.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია - - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 90.0 ათასი ლარით გრანტი და შეადგენს 36060.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 90.3 ათასი ლარით გრანტი.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა კომუნალური მეურნეობის განვითარება 90.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების“ დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ

ხელშეკრულების“ დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.2925283001, 10/10/2025 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 72 000ლარი, სარგებლობს 23 უსახლკარო ოჯახი. საჭიროა გაიზარდოს პროგრამის ბიუჯეტი 5000 და გახდება 77 000 ლარი.
პროგრამის ბიუჯეტის ზრდის წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.29252833, 10/10/2025 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 100 000 ლარი, სარგებლობს 35 ბენეფიციარი. საჭიროა პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა 8000 ლარით და გახდება 108 000 ლარი.
პროგრამის ბიუჯეტის ზრდის წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.292501517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.29252834, 10/10/2025 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 242 000 ლარი. ამ დროისთვის გახარჯულია 241750 ლარი. დახმარება გაეწია 1546 მოქალაქეს. პროგრამის შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს 7 000 ლარით და გახდეს 24 900 ლარი.

პროგრამის ბიუჯეტის ზრდის წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარულება №გ-29.29252832, 10/10.2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი